ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

მუნიციპალური ინსპექცია

წერილის ნომერი: **17-01200652710**
თარიღი: **05/03/2020**
პინი: **2478**

ადრესატი: შპს დევკო
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405120989
მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, გაბრიელ ისაკაძის ქ., №36

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

თქვენი N10/01192352751-17 წერილის პასუხად გაცნობებთ,რომ ქ. თბილისში, სექტორი საბურთალო, ქუჩა ვაზისუბნის, N38/სექტორი საბურთალო, ქუჩა ვაზისუბნის, N36-ში (საკ. კოდი N01.10.12.023.023) 2019 წლის 7 აგვისტოს N4600909 (AR1690822) ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით მიმდინარე მშენებლობის გამო, ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალიწინებული სამართალდარღვევის თავიდან აცილების მიზნით ინსპექცია გაძლევთ რეკომენდაციას 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ ან/და წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებლობის ნებართვა შემდეგი დარღვევის გათვალიწინებით:

-6.00 და -3.00 ნიშნულებზე, ,,6-7" - ,,A-C" მონაკვეთში, სამანქანო ლიფტის კარის ღიობთან მოწყობილია ბლოკის კედლები და შემცირებულია ღიობის სიგანე.

±0.00 ნიშნულზე, ,,7" ღერძთან ,,E-D" და ,,C-A" მონაკვეთებში დამატებით მოწყობილია ბუხრის გამწოვი მილები. ,,E" ღერძთან, ,,6-7" მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის გაბარიტი.

+20.00 ნიშნულზე, ,,1" და ,,7" ღერძებთან ლითონის მოაჯირისთვის განკუთვნილ დგარებს მონაცვლებული აქვთ ადგილი. ,,1-2" - ,,C-B" მონაკვეთში მოაჯირს მონაცვლებული აქვს ადგილი, შემცირებულია კოლონასა და მოაჯირს შორის მანძილი.

დამატებით განგიმარტავთ, რომ ,,პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად ,,რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება".

პატივისცემით,

გიორგი გეჯაძე

მუნიციპალური ინსპექცია-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოადგილე (მუნიციპალური ინსპექციის უფროსის მოადგილე)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი